საქართველოს მთავრობის

დადგენილება №259

2025 წლის 17 ივლისი

ქ. თბილისი

„2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №474 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №474 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2024, 470000000.10.003.024868) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №12 დანართის („ფსიქიკური ჯანმრთელობა“ – პროგრამული კოდი: 27 03 03 01):

1. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 48 605.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	სათემო ამბულატორიული მომსახურება	9,149.8
2	ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია	134.0
3	ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა	151.0
4	ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის სამსახური მოზრდილთათვის	662.3
5	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება	3,276.0
6	ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება:	32,091.2
6.1	მ/შ., დანართ №12.9-ითა და დანართ №12.10-ით გათვალისწინებული მომსახურებისთვის	26,645.5
7	ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება	1,054.1
8	ფსიქიკური დარღვევების მქონე შშმ პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი	2,002.6
9	ასერტული მკურნალობის კომპონენტის თანადაფინანსება	84.0
	სულ:	**48,605.0**.“.

2. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. 2025 წლის 31 მაისის მდგომარეობით, პროგრამის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის მოსარგებლე პირები ზრუნვის სააგენტოს მიერ ჩაითვალონ ჩარიცხულ მოსარგებლეებად ამავე მომსახურების ფარგლებში.“.

3. №12.12 დანართი („ფსიქიკური დარღვევების მქონე შშმ პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტის თვის ბიუჯეტი, მიმწოდებლების მიხედვით“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №12.12

ფსიქიკური დარღვევების მქონე შშმ პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტის თვის ბიუჯეტი, მიმწოდებლების მიხედვით

№	ქალაქი/რეგიონი	დაწესებულება	თვის ბიუჯეტი (ლარი)
1	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი	შპს – ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	179,340.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**